შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2022 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით უცვლელი დარჩა ეთიკის კომისიის 2022 წლის 01 აგვისტოს გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N084/20 (საქმე Nსსდ-05-22)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი პაატა შავაძე /სიითი №1923/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22/09/2020

საჩივრის რეგისტრაციის №084/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დავით ცინცქილაძის /სიითი №6740/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დავით ცინცქილაძისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 22 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა პაატა შავაძემ და მოითხოვა ადვოკატ დავით ცინცქილაძისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა 2021 წლის 30 სექტემბერს დისტანციურად გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ამავე წლის 25 ივლისს მომჩივანმა წარმოადგინა დამატებითი წერილობით ახსნა-განმარტება და იშუამდგომლა ამავე დღეს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე მისი

დასწრების გარეშე განხილულიყო დისციპლინური საქმე.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარმოადგენდა მირანდა ნაკაშიძისა და რევაზ ცინცქილაძის ინტერესებს, მოდავე მხარეს - მანანა სირაბიძეს წარმოადგენდა ადვოკატი დავით ცინცქილაძე. სასამართლოში დავა ადვოკატ პაატა შავაძის მარწმუნებლების ინტერესების სასარგებლოდ დასრულდა, რის შემდეგაც, ადვოკატმა დავით ცინცქილაძემ საჩივრის ავტორის მიმართ პირადი ანგარიშსწორების მიზნით, 2020 წლის 16 სექტემბერს სოციალურ ქსელ ,,ფეისბუქის'' პირად გვერდზე გამოაქვეყნა სტატუსი, სადაც საჩივრის ავტორის მარწმუნებლები - რევაზ ცინცქილაძე და მირანდა ნაკაშიძე მოიხსენია როგორც ,,კრიმინალები'', ,,მძარცველები'', ადვოკატ პაატა შავაძეს კი უწოდა „ფსევდო ადვოკატი". საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი დავით ცინცქილაძე შეურაცხყოფს მას, მის კლიენტებს, როგორც საქმისწარმოების მხარეებს, არამხოლოდ მოცემულ, არამედ სხვა საქმეებზეც, სოციალური ქსელის მეშვეობით ინტენსიურად აქვეყნებს როგორც მის მიმართ, აგრეთვე, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებზე უხამს გამონათქვამებს.

1.3 მომჩივანის განცხადებით, ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიერ მის შესახებ გამოქვეყნებული შეურაცხმყოფელი „ფეისბუქ-პოსტები" საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველასთვის, რაც ე.წ. „სქრინშოტების" სახით დაურთო კომისიაში წარმოდგენილ საჩივარს.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი დავით ცინცქილაძე 2020 წლიდან დღემდე სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" მის შესახებ წერს:

- „ეს ნაბიჭვარი, ჯერ კიდევ არის გისოსებს მიღმა...";
- „ეს არქიფო სეთურის ნა***ვარი, სულით ავადმყოფი, ავანტიურისტი, ინტრიგანი ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფის ინტელექტუალური დამხმარე და თავად დანაშაულებების ჩამდენი, ფსევდო ადვოკატი პაატა შავაძე, რომელიც უშუალოდ არ მცნობი ვირტუალური მეგობრებისთვის არის „სამართლიანობისთვის" მებრძოლი ხოლო რეალურად კრიმინალი თაღლითი... პაატასნაირი კურდღელი კრიმინალები აშინებენ პოლკოვნიკ კოტე ანანიაშვილისნაირ პოლიციელებს?!";
- „... პაატა შავაძის ამისთანა, რომ ვერ დავაოკეთ ეს მართლა სუნიანი, უწიგნური და გაუცრელი მჭადით სიმწრით გამოზრდილი ნაძირალა! ეს არალიცენზირებული ჯამბაზი!";
- „ამ ჭკუასუსტ... ეს გათა***რებული"; „...როდემდე უნდა ვითმინოთ საადვოკატო საქმიანობას ამოფარებული ამ შიზოფრენ ეშმაკის თავ-ფეხის გამოხტომები? პაატა დედაშენს მოვიკითხავ საიქიოში";
- „რაც შეეხება ფსევდო ადვოკატს პაატა შავაძეს, მაგას მალე გავესაუბრები ჭეშმარიტ ღმერთზე"; „საადვოკატო საქმიანობას ამოფარებულ, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წამქეზებელ და ინტელექტუალურ დამხმარე შავაძის მიმართ დღე უკვე მიემართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს...";
- „პაატა შავაძე, შე არამზადა ნაძირალა, გახრწნილო, გათა***რებულო, მოძალადე და ბოროტმოქმედების თანამზრახველო ყიზილბაშო, ფანტაზიორო და არალიცენზირებულო ჯამბაზო, მოსასპობ თაბაგარია მამაძაღლ აბელ სეთურის კანონიერო შვილო, შენ გინდა ხომ ჩემი კომერციული ფართი?!... ამ ყველაფრის გარდა სხვა რამეს გთავაზობ...შენ ბროწეულის ოყნები!";

- „პაატა შავაძე შე არქიფო სეთურის ნაბ***რო მართლა სარაკუნა შარიკოვო! ჯიბგირო! ნაგავო! ყრალო! ... ვინ ჩემი ტიკი-ტომარა ან/და ქოქოზი ხარ, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებზე ძალადობ?!“ „მე და შენს შორის მტყვანს შე**ა მამალმა ვირმა...“; „ირაკლი გორგილაძის ყ** ჭამე ჯონჯოლი შე მამაძაღლო! შე ქათამო!..“ „...დედაშენს მოვიკითხავ საიქიოში!“; „პაატა შავაძის იდეური ძმა...მასზე უარესი ბოროტმოქმედი“;

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დისტანციურად გამართულ სასამართლო სხდომაზე ადვოკატი დავით ცინცქილაძე არღვევდა წესრიგს, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მას, რის შედეგადაც ადვოკატი დავით ცინცქილაძე გაძევებულ იქნა დისტანციური სასამართლო სხდომიდან. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნულს ადასტურებს 2020 წლის 01 დეკემბრის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დავით ცინცქილაძემ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2021 წლის 2 დეკემბერს. ადვოკატი არ გამოცხადებულა 2022 წლის 25 ივლისს გამართულს განხილვის კოლეგიის სხდომაზე. ადვოკატის განცხადებით, ეთიკის კომისიამ 2020 წლის 29 ივნისის N041/20 გადაწყვეტილებით უკვე შეაფასა ადვოკატ დავით ცინცქილაძესა და პაატა შავაძის კლიენტებს შორის არსებული ურთიერთობა და მათი ადვოკატის მიერ წარმოდგენილი საჩივარი აღარ უნდა გახდეს ეთიკის კომისიის განხილვის საგანი.

2.2 საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ ე.წ „სქრინშოტებზე'' ადვოკატი დავით ცინცქილაძე განმარტავს, რომ შეურაცხმყოფელი სტატუსები არ არის შესრულებული არც მისი და არც მისი ოჯახის წევრების მიერ. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი ვერ ადასტურებს თუ ვის ეკუთვნის აღნიშნული „ფეისბუქ“ გვერდი, ვისი ანგარიშია მასზე მიმაგრებული, როდის იქნა ხსენებული გვერდი დარეგისტრირებული, რომელი IP (აი-პი) მისამართიდან იქნა დასახელებული სტატუსების გამოქვეყნება.

2.3 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს დაადასტუროს ე.წ. ,,სქრინშოტების'' წარმომავლობა. ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული „ფეისბუქ“ გვერდი არის ყალბი და საჩივრის ავტორის მიერაა შექმნილი. ადვოკატის განმარტებით, ადვოკატ პაატა შავაძის ზემოქმედების შედეგად, მისი კლიენტების ცრუ დასმენით დავით ცინცქილაძესა და მის დედაზე გამოიწერა შემაკავებელი ორდერები, რომლებითაც ისინი მოძალადეებად იქნენ ცნობილნი.

2.4 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი პაატა შავაძე სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მისთვის არასასურველ პერსონებს საჯაროდ ამცირებს, შეურაცხყოფს, ემუქრება და აშინებს. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორმა თავისი ოფისიდან სოციალურ ქსელ ,,ფეისბუქში'' საჯაროდ გაავრცელა 36 წუთიანი ვიდეო მიმართვა აჭარის სამხარეო პოლიციის უფროსის - კონსტანტინე ანანიაშვილისადმი, სადაც დანაშაულებრივი ზემოქმედების, იძულებისა და ძალადობის მუქარით, სამხარეო პოლიციის უფროსისთვის ულტიმატუმების წაყენებით ცდილობდა ადვოკატისა და მისი დედის დასჯას. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული არ წარმოადგენს კლიენტის ინტერესების კანონიერი ხერხითა და საშუალებებით დაცვას.

2.5 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი სოციალური ქსელების საშუალებით თავად დაემუქრა და შეურაცხყოფა მიაყენა მას, კერძოდ, „ფეისბუქის“ გვერდზე განათავსა შემდეგი პოსტები: ,,ასჯერ

ნასამართლევო ხულიგანო, ჩემი შიშით, ღამე ტუალეტში შესვლასაც ვეღარ შეძლებ, გარეწარო, ჩემდათავად ერთი ნაბიჯით უკან დამხევს, გადაგივლი რასაც ქვია'', საჩივრის ავტორმა ასევე დასცინა მას შემდეგი ფრაზებით: ,,დავით ლიფსიტის ძე ქაფშია, დაბადებული 1967 წლის 32 დეკემბერს, კომერციულ ფართებჩამორთმეული...''. ხოლო მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა სისხლის სამართლის N171270820020 საქმეზე დანიშნული ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილი ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიერ განცდილი ფსიქოლოგიური ტანჯვა, ექსპერტ ქეთევან დიასამიძის დასაშინებლად საჯაროდ გამოაქვეყნა შემდეგი პოსტი: ,,სამხარაულის ექსპერტი ქეთევან დიასამიძე, დიდი პატივისცემის მიუხედავად, მგონი დამაჭერინებს თავს... ოპაა...!!''. აღნიშნული ქმედებების საპასუხოდ ადვოკატის მეუღლის მარიამ ბიგვავას მხრიდან მოყვა შესაბამისი რეაგირება. ადვოკატის განმარტებით, ის მოცემულ საქმეში არ მოქმედებდა ადვოკატის პროფესიული სტატუსით, თუმცა როგორც ადვოკატს არ ჰქონდა უფლება შეურაცხყოფა მიეყენებინა ,,საადვოკატი საქმიანობას ამოფარებულ'' პაატა შავაძეს მისთვის. შესაბამისად, ადვოკატის განცხადებით, მან საჩივრის ავტორის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, რის საფუძველზე დაიწყო გამოძიება.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებები არ ვრცელდება მის მეუღლეზე, მარიამ ბიგვავაზე, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა დაეცვა მისი მეუღლე ყველა ხერხითა და საშუალებით პაატა შავაძის მართლსაწინააღმდეგო და უღირსი ქმედებებისგან.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2021 წლის 17 ნოემბერს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დავით ცინცქილაძის მომჩივანის, როგორც მისი კოლეგის მისამართით წარმოთქმული ფრაზებით დაირღვა კოლეგიალობის პრინციპი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლი 7).

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორის, მოპასუხე ადვოკატის ახსნა-განმარტების, ასევე, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დაადგინა შემდეგი ფაქტები:

4.1.1 ადვოკატმა დავით ცინცქილაძემ მომჩივანს მიმართა შემდეგი ფრაზით: *„ტვინი არ გაქვს და სამართლის დოქტორად იწოდები“.*

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2020 ს 08 ოქტომბრის „ვიდეოჩანაწერი“.

4.2 მხარეთა შორის სადავოა, ადვოკატმა დავით ცინცქილაძემ გამოაქვეყნა თუ არა მისი კოლეგის პაატა შავაძის მიმართა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ შემდეგი ფრაზები:

- *„ეს ნაბიჭვარი, ჯერ კიდევ არის გისოსებს მიღმა...“;*

- *„ეს არქიფო სეთურის ნაბიჭვარი, სულით ავადმყოფი, ავანტიურისტი, ინტრიგანი ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფის ინტელექტუალური დამხმარე და თავად დანაშაულებების ჩამდენი, ფსევდო ადვოკატი პაატა შავაძე, რომელიც უშუალოდ არ მცნობი ვირტუალური მეგობრებისთვის არის „სამართლიანობისთვის“ მებრძოლი ხოლო რეალურად კრიმინალი თაღლითი... პაატასნაირი კურდღელი კრიმინალები აშინებენ პოლკოვნიკ კოტე ანანიაშვილისნაირ პოლიციელებს?!“;*

- *„... პაატა შავაძის ამისთანა, რომ ვერ დავაოკეთ ეს მართლა სუნიანი, უწიგნური და გაუცრელი მჭადით სიმწრით გამოზრდილი ნაძირალა! ეს არალიცენზირებული ჯამბაზი!“;*

- *„ამ ჭკუასუსტ... ეს გათა***რებული“; „...როდემდე უნდა ვითმინოთ საადვოკატო საქმიანობას ამოფარებული ამ შიზოფრენ ეშმაკის თავ-ფეხის გამოხტომები? პაატა დედაშენს მოვიკითხავ საიქიოში“;*

- *„პაატა შავაძე, შე არამზადა ნაძირალა, გახრწნილო, გათა***რებულო, მოძალადე და ბოროტმოქმედების თანამზრახველო ყიზილბაშო, ფანტაზიორო და არალიცენზირებულო ჯამბაზო, მოსასპობ თაბაგარია მამაძაღლ აბელ სეთურის კანონიერო შვილო, შენ გინდა ხომ ჩემი კომერციული ფართი?!... ამ ყველაფრის გარდა სხვა რამეს გთავაზობ...შენ ბროწეულის ოყნები!“;*

- *„პაატა შავაძე შე არქიფო სეთურის ნაბიჭვარო მართლა სარაკუნა შარიკოვო! ჯიბგირო! ნაგავო! ყრალო! ... ვინ ჩემი ტიკი-ტომარა ან/და ქოქოზი ხარ, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებზე ძალადობ?!“ „მე და შენს შორის მტყვანს შე**ა მამალმა ვირმა...“; „ირაკლი გორგილაძის ყ** ჭამე ჯონჯოლი შე მამაძაღლო! შე ქათამო!..“ „...დედაშენს მოვიკითხავ საიქიოში!“; „პაატა შავაძის იდეური ძმა...მასზე უარესი ბოროტმოქმედი“;*

4.2.1 ადვოკატი დავით ცინცქილაძე უარყოფს სოციალუქ ქსელ „ფეისბუქში“ შემდეგი სახელით „დავით ცინცქილაძე“ - ქართული შრიფტით დარეგისტრირებული მომხმარებლის კუთვნილებას და ამ მომხმარებლის მიერ 2020 წლის სექტემბრიდან ადვოკატ პაატა შავაძის მიმართ ზემოაღნიშნული ფრაზების გამოქვეყნებას. დისციპლინური დევნის აღმძვრელმა კოლეგიამ დაადგინა ზემოაღნიშნული სადავო ფრაზების ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გამოქვეყნება საპროცესო სტადიაზე გამოსაყენებელი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით. საჩივრის ავტორმა პაატა შავაძემ დისტანციურ რეჟიმში 2021 წლის 30 სექტემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე პირდაპირ რეჟიმში „ეკრანის გაზიარების“ გამოყენებით გამოაქვეყნა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ დარეგისტრირებული მომხმარებლის გვერდი - „დავით ცინცქილაძე“ და მის მიერ 2020 წლის სექტემბრიდან სხვადასხვა პერიოდში განთავსებული „სტატუსების“ - მოსაზრებების ნაწილი, რაც ეხებოდა საჩივრის ავტორ ადვოკატ პაატა შავაძეს. მომჩივანმა მიუთითა, რომ ე.წ. „სქრინშოტების“ სახით ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ყველა ფრაზა გამოქვეყნებულია საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოქვეყნებული პროფილის (ქართული შრიფტით) „დავით ცინცქილაძის“ სახელით ზემოაღნიშნულ პერიოდში, რასაც აქვს განგრძობადი ხასიათი, კერძოდ, ადვოკატი დავით ცინცქილაძე აგრძელებს მის შესახებ საჯარო სივრცეში შეურაცხმყოფელი „პოსტების“ გამოქვეყნებას.

4.2.2 განხილვის კოლეგია იზიარებს დისციპლინური დევნის აღძმვრელი კოლეგიის მიერ მითითებულ მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული „ფეისბუქ“ ანგარიშის „დავით ცინცქილაძე“ ადვოკატ დავით ცინცქილაძეს პერსონალურ მონაცემებთან იდენტობის

თაობაზე ყურადსაღებია ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი დავით ცინცქილაძის ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციისადმი მიმართული განცხადება, საიდანაც ირკვევა, რომ ის დარეგისტრირებულია სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“, სახელით „დავით ცინცქილაძე“ - ამონარიდი განცხადებიდან: „...დღეს ,2020 წლის 03 სექტემბერს ჩემზე სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“, სადაც მე რეგისტრირებული ვარ „დავით ცინცქილაძე“ საჯარო ფსიქოლოგიური ძალადობა და იძულება განახორციელა თამარ ნაკაშიძემ...“ (იხ. განცხადება ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მესამე განყოფილების უფროსს ირაკლი გორგილაძეს 3.09.2020). აღნიშნული სარწმუნოს ხდის იმ გარემოებას, რომ ადვოკატი დავით ცინცქილაძე თავად ადასტურებს, რომ აქვს პერსონალური გვერდი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ სახელით „დავით ცინცქილაძე“ (ქართული შრიფტით).

4.2.3 ადვოკატ დავით ცინცქილაძეს, კომისიისთვის არ წარუდგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული „ფეისბუქ“ გვერდი „დავით ცინცქილაძე“ არ არის ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიერ მითითებული პერსონალური ანგარიშის სახელით „დავით ცინცქილაძის“ იდენტური.

4.2.4 ადვოკატ დავით ცინცქილაძეს მეტად შესწევს უნარი დაამტკიცოს ან გამორიცხოს პერსონალური ანგარიშის ავთენტურობა, ვიდრე ადვოკატ პაატა შავაძეს, რომელსაც კონტროლი არ აქვს სხვის „ფეისბუქ“ ანგარიშზე, მის ინტერესსაც უნდა წარმოადგენდეს იმოქმედოს მისი ანგარიშის გარკვეულწილად დაცულობისთვის და იმ შემთხვევაში, თუ მისი სახელით ამგვარი სახის მოსაზრებები ქვეყნდება, მოითხოვოს მისი აღკვეთა, ანგარიშის დაბლოკვა, აღნიშნულზე სოციალური ქსელის ადმინისტრაციის ოფიციალური ინფორმირება. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ დავით ცინცქილაძის პოზიციიდან არ ირკვევა, რომ მოხდა მის „ფეისბუქ“ გვერდზე უკანონოდ შეღწევა, ის შეეცადა დაეცვა მისი სახელის უფლება, აღეკვეთა მისი პერსონალური მონაცემების გამოყენება და მისი სახელით კოლეგის მიმართ ზემოაღნიშნული სადავო ფრაზებით მიმართვა. ამასთან, ქართული შრიფტით „ფეისბუქ“ გვერდზე „დავით ცინცქილაძის“ სახელით აქტიურად ქვეყნდება ადვოკატ დავით ცინცქილაძისა და მისი ოჯახის წევრების მიერ ერთობლივად გაზიარებული პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალები, ასევე მის პროფესიულ საქმიანობაში განხორციელებული მიღწევები.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიერ დარღვეულია კოლეგიალობის პრინციპი:

> ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები (აპეკ-ის 7 მუხლი).

6.2 “ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს პირის მიერ ამ უფლებით სარგებლობის ფარგლებს”. (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 30.01.2019 033/19, 5.2).

6.3 "გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ" 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან... . ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად".

6.4 „კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს" (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

6.5 „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა" (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე *R.S and Z v Switzerland*).

6.6 კოლეგია აღნიშნავს, რომ პუნქტ 4.1-ში ჩამოთვლილი ყველა ფრაზა სცდება დასაშვებ კრიტიკას და ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, არის უხამსი, ვერბალური ძალადობის სახით გამოხატული, წარმოადგენს კოლეგის პატივის და ღირსების შემლახავ და პროფესიული რეპუტაციის ხელმყოფ განცხადებებს. აღნიშნული არ იწვევს მხოლოდ ადრესატისთვის ზიანის მიყენებას, არამედ, ლახავს მთლიანად ადვოკატის პროფესიის რეპუტაციას, რადგან წინააღმდეგობაში მოდის არამხოლოდ ადვოკატის ეთიკურ სტანდარტთან, არამედ შეუსაბამოა საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებთან.

6.7 ამასთან, გასათვალისწინებელია მომჩივანისა და ადვოკატ დავით ცინცქილაძის მონაწილეობით მიმდინარე სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით არსებული 2020 წლის 1 დეკემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, რაც ეხება დავით ცინცქილაძის საჩივარზე დისტანციურად გამართული სასამართლო სხდომიდან გაძევების შესახებ 2020 წლის 16 ნოემბერის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის განკარგულებას. განჩინებაში, რომლითაც ძალაში დარჩა გაძევების განკარგულება, მითითებულია: „დავით ცინცქილაძე არღვევდა სასამართლო სხდომაზე წესრიგს, უგულებელყოფდა საადვოკატო ეთიკის წესებს, აყენებდა რა სიტყვიერ შეურაცხყოფას როგორც მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს, სახელდებრ უწოდებდა მას პოტენციურ ბრალდებულს, ასევე იჩენდა აშკარა უპატივცემულობას სასამართლოსადმი და საქმის განმხილველი მოსამართლისადმი, მოიხსენიებდა კორუმპირებულად. დავით ცინცქილაძე არაერთგზის იქნას გაფრთხილებული იმის თაობაზე, რომ დისტანციურად გამართულ სასამართლო სხდომაზე მას ისეთივე სახით ევალებოდა საადვოკატო ეთიკის წესებისა და სხდომაზე წესრიგის დაცვა, როგორც სასამართლო სხდომის დარბაზში ჩატარებული სხდომის დროს, თუმცა მიუხედავად ამისა იგი არ დაემორჩილა სხდომის თავმჯდომარის განკარგულებას და

კვლავ გააგრძელა ანალოგიური ქმედებები, უფრო მეტიც გამოავლინა ცინიკური დამოკიდებულება სასამართლოსადმი, ამასთან მისი ქცევა აშკარად მიმართული იყო სასამართლო სხდომის ჩაშლისკენ. დისტანციურად გამართული სასამართლო სხდომის მიმდინარეობისასა წესრიგის დარღვევის, პროცესის წარმართვაში ხელშეშლისა და სხდომის ჩაშლისკენ მიზანმიმართულად განხორციელებული ქმედებების, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის, მოწინააღმდეგე მხარისა და სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოჩენის გამო, დავით ცინცქილაძე გაძევებულ იქნა დისტანციური სასამართლო სხდომიდან". შესაბამისად, დგინდება, რომ ადვოკატი დავით ცინცქილაძე სოციალური ქსელით გავრცელებული არაკოლეგიალური გამონათქვამებთან ერთად სხვა სივრცეშიც, მათ შორის სასამართლოშიც გამოხატა არაკოლეგიალური დამოკიდებულება მომჩივანის მიმართ.

6.8 შედეგად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიერ ადვოკატ პაატა შავაძის მიმართ დაირღვა კოლეგიალობის პრინციპი.

6.9 ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმიდან და ადვოკატის ქმედებიდან გამომდინარე, ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს დისციპლინური სახდელის სახით - გაფრთხილება.

6.10 კოლეგია აღნიშნავს, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა, ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.11 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ "სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.12 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.13 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ

ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.14 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.15 შესაბამისად, კომისია დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას, ითვალისწინებს ადვოკატ დავით ცინცქილაძის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი არ ადასტურებს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" ზემოაღნიშნული სადავო ფრაზების მის მიერ გამოქვეყნებას, ის თავისი პოზიციით არც იმ ქმედებებს მიიჩნევს ადვოკატისთვის შეუფერებლად, რაც სადავო არ არის, მათ შორის ფრაზას *„ტვინი არ გაქვს და სამართლის დოქტორად იწოდები"* და სასამართლოში მის მიერ ქცევის წესები დაუცველობას. ადვოკატის პოზიციიდან არ ირკვევა, რომ ის აცნობიერებს კოლეგიალობის პრინციპის დაცვის მნიშვნელობას. ამასთან, კოლეგია აღნიშნავს, რომ შესაძლოა, ადვოკატისთვის მიუღებელი იყოს მოდავე მხარის, მათ შორის მისი წარმომადგენლის პოზიციები და გამონათქვამები, თუმცა ეს არ არის გამამართლებელი გარემოება ადვოკატმა იმოქმედოს არაკოლეგიალურად და გამოიყენოს იმგვარი უხამსი ფრაზები, რაც ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მოცემული დისციპლინური საქმის განხილვის ფარგლებში გახდა სადავო. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა მათ უფრო მეტად მოეთხოვებათ არ გასცდნენ გამოხატვის ფარგლებს, დაიცვან პროფესიული ღირსება, მით უფრო სოციალურ ქსელში მოსაზრებების გამოქვეყნებისას, სასამართლოს შენობაში, თუ მის გარეთ ყოფნისას. კომისია წუხს, რომ მას უწევს წინამდებარე გადაწყვეტილებაში ისეთი უხამსი ფრაზების დაფიქსირება, რომლებიც ადვოკატ დავით ცინცქილაძემ გამოიყენა.

6.16 ამასთან, კოლეგია ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატის მიმართ უკვე გამოყენებულია დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებება N065/21, 30.03.2022. შესაბამისად, ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება. კომისია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის ფარგლებში მის მიერ გამოქვეყნებული ფრაზების უხამსობის სიმძიმეს, რაც არამხოლოდ კონკრეტული ადვოკატის მიმართ არის შეურაცხმყოფელი, არამედ სცდება პროფესიის კორპორატიულ მიზანს, კუტლურას მის ღირებულებებს, შეურაცხყმოფელია პროფესიისთვის, რაც საზიანოა ფრაზების ავტორის საადვოკატო საქმიანობისათვისაც და ლახავს არამხოლოდ სხვის, არამედ მის პროფესიულ ღირსებასაც.

6.17 კომისია მიიჩნევს, რომ დადგენილი დარღვევიდან გამომდინარე, ადვოკატის მიმართ გამოყენებული იქნეს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, რაც იქნება დასახული მიზნით მიღწევის გონივრული და პროპორციული საშუალება. ამასთან, კომისია განმარტავს, რომ ვინიადან, ადვოკატის მიმართ აღნიშნული დისციპლინური საქმის ფარგლებში ეთიკური ვალდებულების

დარღვევა არ არის პირველი და მის მიმართ გამოყენებულია დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებაც, კომისია იმედოვნებს ადვოკატის მიერ გაცნობიერებული იქნება პროფესიული სტანდარტების დაცვის მნიშვნელობა და სამომავლოდ, მის მიერ მიერ არ იქნება პროფესიული რეგულაციები უგულებელყოფილი.

6.18 კომისია დამატებით განმარტავს, რომ ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

6.19 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34.1(ა)-ე, 35-ე, 35[1]-ე, 36-ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-4.5, მე-4.6, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, მე-40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N084/20 ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიმართ /სიითი№6740/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/